ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 5402321

გაცემის თარიღი: 14/05/2021 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1814201
შემოსვლის თარიღი: 07/04/2021
შედეგი: **შუალედური**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.038.020
- მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა, N 73
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1100.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ელესჯი" (205279928)

ნომენკლატურა :

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **IV კლასი**
- **ახალი მშენებლობა**
- სტადიები:
  - **პროექტის შეთანხმება**
  - **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ალექსანდრე სანაძე პ/ნ 01017016552
- მისამართი: პეტრიაშვილის 19

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 5333475
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 19.03.2021

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიგა ფევაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ელესჯი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205279928
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე სანაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017016552

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1100.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1847.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1775.4
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1374.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 184.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 216.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7560.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7000.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 560.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 21.62
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 20.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.42
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 370.9/1062=0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=1713.3 კ2= 1713.3/1062=1.6
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 337.0/1062=0.3

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული

დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01... წარმოდგენილი იქნას იპოთეკარის თანხმობა (ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად)

02... კანონთან შესაბამისობაში მოყვანილ განახლებულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნას განახლებული განშლა კორექტირებული დოკუმენტაციის მიხედვით შედგენილი.

განშლაზე დატანილ იქნას ყველა შენობა-ნაგებობის სართულიანობა და სიმაღლე. ასევე გამოყოფილი იქნას ბოლო სართულის კიბის უჯრედი და ლიფტის შახტა დანარჩენი სიმაღლისაგან.

დოკუმენტაციის დამუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები.

03... წარმოდგენილ იქნას საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. (კორექტირებული პროექტის მიხედვით შედგენილი)

- აღნიშნული კვლევის ანგარიშში მინიმუმ უნდა აისახოს:
- ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;
- ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;
- გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის.

04... წარმოდგენილ იქნას საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. (კორექტირებული პროექტის მიხედვით შედგენილი)

05... წარმოდგენილ იქნას: საპროექტო ობიექტის კონსტრუქციული სქემა/პროექტი. (კორექტირებული პროექტის მიხედვით შედგენილი) გარდა ზემოაღნიშნულისა წარმოსადგენია კონსტრუქციული სივრცითი მოდელის ანგარიში (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და რხევის პერიოდი) ექსპორტირებული საანგარიშო კომპლექსიდან დადასტურებული/ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ.

გარდა ზემოაღნიშნულისა:

- განგიმარტავთ: საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული სქემა შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილისაგან, სადაც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაბარიტული ზომები; საძირკვლის, გადახურვის და ვერტიკალური ელემენტების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები) ტიპი; შენობა-ნაგებობის სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და დეფორმაციაზე გაანგარიშების საწყისი მონაცემები (მასალების

ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სიხისტეები, სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები), სივრცითი ანგარიშისათვის გამოყენებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის დასახელება და გაანგარიშებათა შედეგები (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და რხევის პერიოდი), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამისი და ამავე კონსტრუქციულ სქემაში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის/რეგლამენტების მოთხოვნებს.

- ხოლო, კონსტრუქციული პროექტი უნდა მოიცავდეს კონსტრუქციული სქემით გათვალისწინებულ ყველა ინფორმაციას დაზუსტებული, დაკონკრეტებული სახით და იძლეოდეს მშენებლობის განხორციელებისთვის ამომწურავ ინფორმაციას.
- კონსტრუქციული პროექტი დამატებით უნდა მოიცავდეს:
- ა) ფუძის მოწყობის, საძირკვლის და გადახურვის ძირითად ნახაზებს (ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციების ტიპების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები და ა. შ.), ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, გადახურვის ზედაპირის ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით);
- ბ) ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს;
- გ) კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების და სამშენებლო მასალების სპეციფიკაციას.
-

06.კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება: წარმოადგინეთ (კორექტირებული პროექტის მიხედვით შედგენილი) ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. ასევე წარმოადგინეთ ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება).

07... წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელ-გაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა - ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები.

08... მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ დასკვნაში დამატებით განხილული უნდა იყოს საკადასტრო ერთეული (ს.კ.01.72.14.056.011). წარმოსადგენია გაანგარიშება ან ღონისძიება, რომლის საფუძველზეც ექსპერტი გამორიცხავს მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან (ს.კ.01.72.14.038.709) უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას.

09... გენ.გეგმაზე შენობის ნაწილში მოხსნილ იქნას იზოგიფსები და გრუნტის აბსოლიტური ნიშნულები. დატანილ იქნას გაბარიტულ და ღერძულა ზომებთან ერთად, შენობის მიბმის მანძილები წითელ ხაზებთან მიმართებით. მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსება (მიბმის მანძილები) აბსოლუტური ჰორიზონტალური (კანონმდებლობით განსხვავებულ კოორდინატთა სისტემაში) და ვერტიკალური ნიშნულები. (ნიშნულები უშუალოდ მოინიშნოს შენობის კუთხეებში აბსოლიტური ნიშნულის შესაბამისად.) გადახურვის ნაწილში დატანილ იქნას დახრის პროცენტულობა არანაკლებ 2 % _სა, აბსოლიტური ნიშნულები ნულოვანთან მიმართებით და წყალსაწრეტი მილები.

- **გაითვალისწინეთ ავტოსადგომებისთვის განკუთვნილი ნაწილი კ-3_ის ანგარიშში არ აისახება. (დააკორექტირეთ შესაბამისი)**

10... გეგმებზე/ჭრილებზე და ფასადებზე დატანილ იქნას აბსოლუტური ჰორიზონტალური (კანონმდებლობით განსხვავებულ კოორდინატთა სისტემაში) და ვერტიკალური ნიშნულები ნულოვანთან მიმართებით. დატანილ იქნას შენობის მიბმის მანძილები წითელ ხაზებთან მიმართებით.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად წარმოდგენილ იქნას ანალიზის ცხრილები და აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაცულ იქნას საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“. მოთხოვნები. ანალიზის ცხრილები.

11... მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა საჭიროა ატვირთოთ შემდეგი შემადგენლობით: ტოპოგრაფიულ ძირზე დამუშვებული გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილ(ებ)ი; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის, ასევე ქუჩის შუა ხაზიდან შენობის უახლოეს კედლამდე მანძილის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის (არა სხივის) განსაზღვრით/ჩვენებით (ფორმულა H=L/Y); მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსასაზღვრელად იხელმძღვანელეთ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 31-ე მუხლით;

- წარმოდგენილ იქნას განახლებული გრაფიკული დოკუმენტაციის მიხედვით დამუშავებული რენდერები და სატიტულო ფოტოები.

- წარმოდგენილ იქნას განახლებული დოკუმენტაციის შესაბამისი ვექტორული ფაილები.

12... წარმოდგენილ იქნას მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

13... წარმოდგენილ იქნას საგზაო მოძრაობის სქემები საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით.

განგიმარტავთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სქემა სამსახურის მიერ გადაგზავნილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში და სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა თქვენ მიერ უნდა შეთანხმდეს ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან ხოლო საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგენილ იქნას არქიტექტურის სამსახურში.

14... წარმოდგენილ იქნას მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის ველში „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ მუხლი“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად დაკორექტირდეს და წარმოდგენილ იქნას სრულყოფილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი და კალენდარული გრაფიკი.

სარეკომენდაციოდ გაცნობებთ რომ III კლასის მშენებლობისას განისაზღვრება: მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 10 ეტაპი, ხოლო IV კლასის მშენებლობისას მინიმუმ 10 ეტაპი.

15... წარმოდგენილ იქნას საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 და მე-3, ქვეპუნქტების შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;

ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;

გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;

დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;

ე) შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.

ვ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან განაშენიანების დეტალური გეგმის რეკვიზიტებს.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

საინფორმაციო დაფის განთავსება მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ

ნებართვის გაცემიდან ათი დღის ვადაში ნებართვის მფლობელმა არსებულ საინფორმაციო დაფაზე უნდა განაახლოს ინფორმაცია და დაიტანოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება და მისამართი, ნებართვის ნომერი და მოქმედების ვადა;

ბ) მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების ვადები;

გ) ობიექტის ფუნქცია და არქიტექტურული იერსახე;

16... 2021 წლის 01 მარტიდან ამოქმედდა ტექნიკური რეგლამენტი - "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები", რომლის მიზანია შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა. წარმოდგენილი იქნას - "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" -ტექნიკური რეგლამენტთან შესაბამისობის დასკვნა და შესაბამისად მომზადებული გრაფიკული დოკუმენტაცია. წარმოსადგენია სრულყოფილი, დეტალურად მომზადებული "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად მომზადებული გრაფიკული დოკუმენტაცია, ყველა ბინის (ტიპიური ბინების გამოკლებით) და დერეფნების ჩვენებით. წარმოსადგენია ბინების, დერეფნების, კიბის უჯრედების, თავშესაფრის ფართობების და სხვ. კვანძები ყველა საჭირო ზომის მითითებით. გაითვალისწინეთ, რომ დასკვნაში ვრცლად უნდა იქნეს აღწერილი ინფორმაცია "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" რეგლამენტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით და დასაბუთებული შესაბამისი ქვეთავებით ზემოაღნიშნულ რეგლამენტში.

17... შესაბამის ველში წარმოდგენილ იქნას (კორექტირებული პროექტის მიხედვით შედგენილი) საექსპერტო შეფასება არქიტექტურული პროექტების „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან შესაბამისობის თაობაზე. აღნიშნული საექსპერტო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნას ექსპერტის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

ზემოაღნიშნული ხარვეზების შესაბამისად დაკორექტირდეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

შენიშვნა : ვინაიდან იცვლება შენობის კლასი. გააქტიურებულია ნომენკლატურის ცვლილების ღილაკი.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საგადახდო დავალება N11

რეფერენსი

10705444889

გადამხდელის დასახელება: სანაძე ალექსანდრე

ანგარიში (დებეტი) GE58BG4501981030030000
საკომისიოს ანგარიში GE58BG4501981030030000

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ალექსანდრე სანაძე

საიდენტ. კოდი 01017016552

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 741967499

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

გადახდის დანიშნულება: სერვის-ცენტრების მომსახურებით გადასახდელის გადახდა, 07/04/2021 , სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, ნომერი AR1814201AC, გადახდის კოდი - 5285130413

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

მთ. ბულალტერი

ბ.ა.

თანხა

800-00

თანხა სიტყვებით

რვაასი ლარი 00 თეთრი

საკომისიო: 0 (ნული) ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

წარდგენის თარიღი: 07.04.2021

მიღების თარიღი: 07.04.2021

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება, მომდევნო სამუშაო დღეს

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA საოპერაციო-სალარო 2450 BAGAGE22

საკომისიო 1.00 ლარი

5285130413

რვაას ერთი ლარი 00 თეთრი

ხელმოწერები:

შემომტანი: კონტროლიორი: ბულალტერი: მოლარე:

საგადახდო დავალება N11

რეფერენსი

10705444889

გადამხდელის დასახელება: სანაძე ალექსანდრე

საგადახდო დავალება N11

რეფერენსი

10705266190

გადამხდელის დასახელება: სანაძე ალექსანდრე

ანგარიში (დებეტი) GE58BG4501981030030000
საკომისიოს ანგარიში GE58BG4501981030030000

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ალექსანდრე სანაძე

საიდენტ. კოდი 01017016552

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773090

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

გადახდის დანიშნულება: სერვის-ცენტრების მომსახურებით გადასახდელის გადახდა, 07/04/2021 , სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, ნომერი AR1814201BP, გადახდის კოდი - 5285095345

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი _____

მთ. ბუღალტერი _____

ბ.ა.

თანხა

9131-60

თანხა სიტყვებით

ცხრა ათას ას ოცდათერთმეტი ლარი 60 თეთრი

საკომისიო: 0 (ნული) ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნა

წარდგენის თარიღი: 07.04.2021

მიღების თარიღი: ~~07.04.2021~~

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება, მომდევნო სამუშაო დღეს

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

BANK OF GEORGIA
JSC
BAGAGE22
2450